
სტუდენტური ფორუმი

რეაბილიტაცია – შედარებითი ანალიზი გერმანულ სამართალთან

თამარ გომოლაშვილი*

1. შესავალი

გაკოტრების სამართლის განახლებისაკენ პირველი ნაბიჯი საქართველოში 1996 წელს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის მიღებით გადაიდგა, რითაც „ქართულ სამართალში ხელახლა აღდგა სამართლის სისტემიდან უმართებულოდ გაძევებული გაკოტრების ინსტიტუტი“.¹ ამჟამინდელი სინამდვილისათვის სიახლედ უნდა ჩაითვალოს რეაბილიტაციის ინსტიტუტის დამკვიდრება. კანონმა შეავსო კერძო სამართლის სფეროში არსებული ვაკუუმი, რაც, ალბათ, მნიშვნელოვნად იყო განპირობებული გაკოტრების სამართლის ზოგადად და, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ინსტიტუტის არარსებობითაც.

თავისი შინაარსითა და სტრუქტურით გაკოტრების ქართული სამართალი ემსგავსება ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით კი, გერმანიის გაკოტრების სამართალს, რომელიც ერთდროულად აწესრიგებს როგორც მოვალის ლიკვიდაციის, ასევე მისი, როგორც სამართლის სუბიექტის, გადარჩენის საკითხებს.²

გერმანიის 1877 წლის გაკოტრების დებულება სანაციის სანაწარმდგომად იყო ორიენტირებული. პირველმა მსოფლიო ომმა და მსოფლიო ეკონომიკის კრიზისმა 1929-31 წლებში წინ წამოსწია საკითხი, რომ სანარმოს ლიკვიდაცია ყოველთვის სწორი გამოსავალი არ იყო.³ 1999 წლის 1 იანვარს გერმანიაში ძალაში შევიდა „გაკოტრების დებულება“, რითაც დასრულდა საკანონმდებლო პროცესი, რომელიც თავის არსებობას 1978 წლიდან ითვლიდა. გერმანიის „გაკოტრების დებულება“ (*Insolvenzordnung* – შემდგომში *InsO*) უპირატესად სანარმოთა ეკონომიკაზეა ორიენტირებული. იგი ირის არა იმდენად იურისტების კანონი, რამდენადაც ეკონომისტებისა.⁴

წინამდებარე სტატიაში მოცემულია გერმანული გაკოტრების სამართლისა და ქართული გაკოტრების სამართლის რეცეფცირებული ნორმების შედარებითი ანალიზის საფუძველზე რეაბილიტაციის ინსტიტუტის სამართლებრივი ასპექტების ასახვის მცდელობა.

2. რეაბილიტაციის ცნება და წინაპირობები

გაკოტრების დღეს მოქმედი კანონი (მიუხედავად სახელწოდებისა) უპირატესად ვალაუვალი მოვალის გადარჩენაზეა ორიენტირებული. ეს მიზანი პირველსავე მუხლშია მოცემული,⁵

* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

¹ მიგრიაული, მოვალის გაკოტრება, როგორც სანაციის საშუალება, გაზეთი „მსგეფსი“, 19, 20-26 აგვისტო, 1997, 6.

² მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, 1999, 127.

³ Pape/Uhlenbruck, Insolvenzrecht, NJW – Schriftenreihe, München (Beck), 2002, 9.

⁴ იქვე, 12.

⁵ მიგრიაული, მოვალის გაკოტრება, როგორც სანაციის საშუალება, გაზეთი „მსგეფსი“, 19, 20-26 აგვისტო, 1997, 6.

როდესაც საუბარია მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევისა და სანარმოს ლიკვიდაციით ან რეაბილიტაციით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი). მსგავს დანაწესს შეიცავს Inso-ს 1-ლი მუხლი სახელწოდებით – „გაკოტრების საქმის წარმოების მიზნები“, რომლის მიხედვითაც, გაკოტრების საქმის წარმოება ემსახურება მოვალის კრედიტორების ერთობლივად დაკმაყოფილებას იმით, რომ ხდება მოვალის ქონების რეალიზაცია და ამონაგები ნაწილდება, ან გაკოტრების გეგმით ხორციელდება განსხვავებული რეგულირება სანარმოს შესანარჩუნებლად. კეთილსინდისიერ მოვალეს ეძლევა შესაძლებლობა, დარჩენილი ვალდებულებებისაგან თავი გაითავისუფლოს (Inso-ს 1-ლი მუხლი).

არსებობის საფრთხის ქვეშ მყოფი მოვალის პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად რჩება მისი ეკონომიკური გაჯანსაღება. მოვალის წარმოებების ეკონომიკური გაჯანსაღება საბოლოოდ მის რეაბილიტაციასაც გულისხმობს, ამიტომაც არის, რომ მოვალის რეაბილიტაცია ძირითად შტრიხად გასდევს გაკოტრების კანონს.⁶

2001 წელს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად ტერმინმა „სანაცია“ „რეაბილიტაცია“ დაუთმო ადგილი. ამ ცვლილებებმა არაერთ ნოვაციას, მათ შორის ტერმინოლოგიურს, დაუდო სათავე; ასე მაგალითად, „სასამართლოს-მიერი სანაციის“ თავი „საგაკოტრებო მორიგებით“ შეიცვალა, ახალი III¹ თავი კი მთლიანად რეაბილიტაციას დაეთმო.

განსხვავებით Inso-საგან, კანონში მოცემულია რეაბილიტაციის ცნება, რომელშიც იმავდროულად იკვეთება რეაბილიტაციის მიზანი. 251-ე პარაგრაფის თანახმად, „რეაბილიტაცია წარმოადგენს ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს მოვალის ფინანსური სიძნელეების დაძლევის, მისი სანარმოს ლიკვიდურობის აღდგენასა და ლიკვიდაციის თავიდან აცილებას“.

საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ ტერმინ „რეაბილიტაცია“ პირველსავე მუხლში ამკვიდრებს, განსხვავებით გერმანული კანონისაგან. საკანონმდებლო აღიარება გერმანიაში რეაბილიტაციას ჯერაც არ მოუპოვებია.

რეაბილიტაცია არის ღონისძიებები, მიმართული მოვალის ეკონომიკური ვითარების ხანგრძლივად გაჯანსაღებისაკენ.⁷ რეაბილიტაციაში იგულისხმება ყველა ფინანსური, სამართლებრივი და სხვა სანარმოო ღონისძიება, რომელთა მიზნია გადახდისუუნარობის, კაპიტალის დანაკარგის ან ზედავალიანების დაძლევა ისევე, როგორც სანარმოს რენტაბელობის აღდგენა.⁸

არსებითად უნდა განვასხვავოთ ორი საწყისი: ერთი მხრივ, რეაბილიტაცია შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ფინანსურ-ეკონომიკურ ღონისძიებებს („რეაბილიტაცია ვინრო გაგებით“ ანუ „ფინანსური რეაბილიტაცია“), მეორე მხრივ კი, გულისხმობდეს სანარმოს გაჯანსაღებისკენ მიმართულ ყველა ღონისძიებასაც.

სანარმოთა პრაქტიკაში ისევე, როგორც სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში, არსებობს რეაბილიტაციის ცნების განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა. ამასთან, ცნებები: *Turnaround* და *Restrukturierung* რეაბილიტაციის სინონიმებად გამოყენება.

⁶ იქვე, 6.

⁷ *Fritzsche*, *Schuldbetreibung, Konkurs und Sanierung nach schweizerischem Recht*, Zürich (Schulthess), 1955, 287.

⁸ *Kesselbach*, *Krise und Sanierung bei Aktiengesellschaften – insbesondere aus strafrechtlicher Sicht unter besonderer Berücksichtigung der Art. 152 StGB*, Zürich (Schulthess Juristische Medien), 2001, 6.

რეაბილიტაცია ფართო გაგებით მოიცავს სტრატეგიული პერსპექტივიდან წარმომდგარ ხელმძღვანელობაზე ორიენტირებულ ორგანიზაციულ, საფინანსო, სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებებს, რომლებიც, ერთი მხრივ, მოკლე ვადით არალიკვიდურობის თავიდან აცილებას უწყობს ხელს და, მეორე მხრივ, რენტაბელობის, პროდუქტულობის აღდგენას იწვევს. ამდენად, სანაცია ფართო გაგებით მოიცავს ასევე ფინანსურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის ღონისძიებებს.⁹

გერმანულ დოქტრინაში განასხვავებენ შიდა (*Interne*) და გარე (*Externe*) რეაბილიტაციას. პირველი მოიცავს ღონისძიებებს მხოლოდ ორგანიზაციულ, ფინანსურ და სამართლებრივ სფეროში; გარე რეაბილიტაცია კი, პირიქით, ითვალისწინებს კრედიტორებისა და მესამე პირების მონაწილეობას.¹⁰

ობიექტი, რომელსაც რეაბილიტაცია ეფუძნება, კრიზისული სიტუაცია (*Krisensituation*),¹¹ სანარმოთა ეკონომიკაში კრიზისზე საუბრობენ, როცა გულისხმობენ სანარმოს არსებობის კონკრეტულ საფრთხეს. ცხადია, რაც უფრო დროულად იქნება შეცნობილი კრიზისის სიმპტომები, მით უფრო სწრაფად მოხდება კრიზისის მიზეზების გამოკვლევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.¹²

ლიტერატურაში კრიზისის შემდეგნაირად განიმარტება: ეკონომიკური თვალსაზრისით, იგულისხმება სიტუაციის ისეთი განვითარება, რომელსაც სანარმო მატერიალურ გაკოტრებად მიჰყავს (გადახდისუუნარობა და ზედავალიანება). გადახდისუუნარობისა და ზედავალიანების ცნებები შესაბამისად მოცემულია InsO-ს მე-17 და მე-19 პარაგრაფებში.

რეაბილიტაციის ცნების გამოყენება მოითხოვს მისი ნიშნების მკაცრად დადგენას. რაც შეეხება რეაბილიტაციის წინაპირობებს, საქართველოს კანონი დეტალურად განსაზღვრავს ამ ინსტიტუტის საფუძვლებს და ადგენს: 1. რეაბილიტაცია ხორციელდება მხოლოდ იმ მოვალე იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ არსებობს მოვალის შეთანხმება კრედიტორებთან რეაბილიტაციის შესახებ ან გაკოტრების სასამართლოს ძალაში შესული განჩინება საგაკოტრებო მორიგების დამტკიცების შესახებ; 2. რეაბილიტაცია განხორციელდება, თუ არსებობს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ აღდგება მოვალის სანარმოს ლიკვიდურობა და თავიდან იქნება აცილებული ლიკვიდაცია (252-ე მუხლი).

გერმანული InsO პირდაპირ არ შეიცავს მსგავს დანაწესებს, თუმცა დოქტრინაში ეს საკითხები საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული.

შესაძლებელია თუ არა რეაბილიტაცია – ეს, ერთი მხრივ, დამოკიდებულია გაკოტრების მიზეზებზე და, მეორე მხრივ, ყველა მონაწილის მზადყოფნაზე, გავლენა მოახდინოს სანარმოს გადარჩენაზე. ამიტომ, უწინარესად, აუცილებელია მიზეზებისა და სუსტი წერტილების ყოვლისმომცველი ანალიზი, ასევე იმის განსაზღვრა, არსებობს თუ არა ბაზარი სანარმოს მიერ შეთავაზებული საქონლის ან მომსახურებისათვის. ყოველი რეაბილიტაცია აზრს მოკლებულია, თუ სანარმოს მიერ წარმოებულ პროდუქციას (ამ სიტყვის ფართო გაგებით) რეაბილიტაციის შემდეგ გასაღების პერსპექტივა არ ექნება, ერთი მხრივ, მასზე მოთხოვნილების არარსებობის და/ან, მეორე მხრივ, ბაზარზე შიდა თუ გარე კონკურენციის გამო. ამ შემთხვევაში გამოსავალი ლიკვიდაციაში უნდა ვეძებოთ.¹³

⁹ *Linge*, Sanierung und Kulturwandel ostdeutscher Unternehmer, Dissertation, Bamberg (Difo-Druck), 1997, 21-22.

¹⁰ *Binz/Hess*, Lexikon des Insolvenzrechts, Neuwied und Frankfurt M. (Herman Luchterhand), 1991, 250.

¹¹ *Kesselbach*, Krise und Sanierung bei Aktiengesellschaften – insbesondere aus strafrechtlicher Sicht unter besonderer Berücksichtigung der Art. 152 StGB, Zürich (Schulthess Juristische Medien), 2001, 5.

¹² იქვე, 23.

¹³ *Bork*, Einführung in das Insolvenzrecht, 3. Auflage, Tübingen (Mohr Siebeck), 2002, 172.

მოვალის გადარჩენის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება, თუ გაკოტრების საქმის წარმოება ხორციელდება ისეთი მოვალე მენარმის მიმართ, რომელიც ფლობს სხვადასხვა საწარმოს. მოქმედი საწარმოს მნიშვნელობას არა მხოლოდ ის უსვამს ხაზს, რომ იგი უშვებს პროდუქციას (ენევა მომსახურებას), ჰყავს მყარი კლიენტურა ან მომწოდებლები და გამოდის ბიუჯეტის შევსების ერთგვარ წყაროდ, არამედ ისიც, რომ მოქმედი საწარმო ქმნის სამუშაო ადგილებს და უზრუნველყოფს დაქირავებულ მუშახელის გარკვეულ სოციალურ დაცვასაც. უარყოფითი ეკონომიკური მოვლენების მასშტაბები უფრო თვალში საცემი ხდება, თუ იხურება, ჩერდება ან ლიკვიდირდება დიდი საწარმო.¹⁴

ვალაუფალი საწარმოს სანაციის თაობაზე გადანყვეტილების მიღებამდე უნდა გაირკვეს რეაბილიტაციის საჭიროება (*Sanierungsbedürftigkeit*), რეაბილიტაციის უნარი (*Sanierungsfähigkeit*) და რეაბილიტაციის ღირებულება (*Sanierungswürdigkeit*). ეს უკანასკნელი მონანილეთა სუბიექტურ შეფასებაზეა დამოკიდებული. *InsO* არ იძლევა კონკრეტულ კრიტერიუმებს რეაბილიტაციის აუცილებლობის დასადგენად, რამეთუ მისი პრაქტიკული განხორციელება ცალკეული საწარმოს ინდივიდუალურ მონაცემებსა და საჭიროებაზეა დამოკიდებული.¹⁵

როგორც უკვე აღინიშნა, რეაბილიტაციის შემომნება სამი ერთმანეთიდან გამომდინარე ფაზისაგან შედგება: ამ პროცესის პირველ ფაზაში (რეაბილიტაციის საჭიროების შემომნება) უნდა მოხდეს საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შეცნობა; ტრიადის მეორე ფაზაში უნდა შემომნდეს, შეიძლება თუ არა საწარმო უახლოეს მომავალში საკმარისად რენტაბელურ მუშაობას; ამასთან, უნდა შეფასდეს, ეკონომიკურად საწარმოს რეორგანიზაცია და მისი არსებობის გახანგრძლივება უფრო მიზანშეწონილია, თუ არსებობის შეწყვეტა.¹⁶ ძალზე ხშირად, როცა დგება დრო, როდესაც რეაბილიტაციის უნარის თაობაზე კითხვა უნდა დაისვას, ზედავალიანება უკვე სახეზეა. საწარმოს რეაბილიტაციის უნარი, არაერთი პრაქტიკული პრობლემის მიუხედავად მაინც არსებობს, როცა საქმიანობის გაგრძელების ღირებულება აჭარბებს ლიკვიდაციის ღირებულებას და საწარმოს შესწევს უნარი, სანაციის შემდეგ სხვათა დახმარების გარეშე ხანგრძლივად იარსებოს. რეაბილიტაციის უნარის შემომნება მეთოდურად მჭიდროდაა დაკავშირებული ზედავალიანების შემომნებასთან.¹⁷ თუ საწარმოს რეაბილიტაციის საჭიროება არსებობს, მონანილევებმა რეაბილიტაციის ღირსების შემომნების ფარგლებში მათი ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინებით უნდა დაადგინონ, გამართლებულია თუ არა რეაბილიტაცია.¹⁸ რეაბილიტაციის ღირსება კრედიტორთა შემომნების საგანია და დაფუძნებულია სუბიექტურ და პიროვნულ დაკვირვებაზე. ამის შედეგად იქმნება იმდენივე განსხვავებული შეფასება, რამდენი მონანილეც არსებობს რეაბილიტაციაში. ამდენად, რეაბილიტაციის ღირსების შეფასების დროს არაეკონომიკური, მათ შორის, პირადი ფაქტორებიც შეიძლება იყოს მნიშვნელობის მქონე, განსხვავებით რეაბილიტაციის უნარისაგან. ამგვარად, რეაბილიტაციის უნარის მქონე ყველა საწარმო როდია რეაბილიტაციის ღირსების მქონე. ხშირად რეაბილიტაციის ღირებულება, კრედიტორების ინტერესებიდან გამომდინარე, ხდება იმპერატივი რეაბილიტაციის უნარის განსაზღვრისათვის.¹⁹

¹⁴ მიგრიაული, მოვალის გაკოტრება, როგორც სანაციის საშუალება, გაზეთი „მსგეფსი“, 19, 20-26 აგვისტო, 1997, 6.

¹⁵ Ritter, Unternehmenssanierung im neuen Insolvenzrecht, Kaiserslautern (Wissenschaft & Praxis), 2000, 238-239.

¹⁶ Institut der Wirtschaftsführer (IDW), Beiträge und Diskussionen des IDW-Insolvenz-Symposiums am 11-12 Juni 1987, Düsseldorf (IDW), 1987, 79.

¹⁷ Ritter, Unternehmenssanierung im neuen Insolvenzrecht, Kaiserslautern (Wissenschaft & Praxis), 2000, 272-273.

¹⁸ Institut der Wirtschaftsführer (IDW), Beiträge und Diskussionen des IDW-Insolvenz-Symposiums am 11-12 Juni 1987, Düsseldorf (IDW), 1987, 79.

¹⁹ Ritter, Unternehmenssanierung im neuen Insolvenzrecht, Kaiserslautern (Wissenschaft & Praxis), 2000, 269.

რეაბილიტაციის დროს, ცხადია, მთავარია, გაკოტრების თაობაზე განცხადება დროულად და რაც შეიძლება მეტი აქტივის არსებობისას იქნეს შეტანილი. ამიტომ გაკოტრების სამართლის ყველა ნორმა, რომელიც განცხადების დროულ შეტანასა და შეძლებისამებრ დიდი მასის არსებობას ისახავს მიზნად, რეაბილიტაციის პროცესისათვისაც მნიშვნელოვანია; რეაბილიტაციის მცდელობანი, ცხადია, საფუძველს მოკლებული იქნება, როცა გაკოტრების მმართველი სანარმოს საქმიანობას ვერ აგრძელებს, თუ საამისოდ საჭირო რესურსებს მოკლებული იქნება. ეს აზრი უდევს საფუძველად InsO-ს 112-ე პარაგრაფს, რომელიც ურთულესს გამჭირავებელს დამჭირავებლის გაკოტრებისას ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას; 107-ე პარაგრაფი კი მმართველს განსაზღვრულ დროს უტოვებს ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.²⁰

გერმანულ დოქტრინაში მოვალის ქონების რეალიზაციის ძირითადად შემდეგ გზებს განასხვავებენ:

1. უმეტეს შემთხვევაში მოვალის ქონება ფულად იქცევა და ამონაგები კრედიტორებზე განაწილდება. ამ დროს სახეზეა ლიკვიდაცია;

2. სანარმოთა შემთხვევაში მხედველობაში მიიღება რეაბილიტაცია, რომლის მიზანია, სანარმო ან მისი ნაწილები ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი გახდეს, აქედან გამომდინარე ეკონომიკური შედეგით კი, მოხდება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

სანაცის განხორციელების ორი გზა არსებობს:

ა. რეორგანიზაცია – ამ დროს სანარმო შემოსავლიანი ხდება, ახალი მოგება კრედიტორთა დაკმაყოფილებას ემსახურება.

ბ. გადაცემითი რეაბილიტაცია (*übertragende Sanierung*), რომელსაც რეაბილიტირებულ ლიკვიდაციასაც (*sanierende Liquidation*) უწოდებენ. ამ შემთხვევაში ხდება არა ადრინდელი სახით არსებული სუბიექტის სანაცია, არამედ თავად სანარმოსი, როგორც ობიექტისა. გადარჩენის უნარის მქონე სანარმო (ან მისი ნაწილი) სხვა სუბიექტს გადაეცემა და ამონაგები კრედიტორებს შორის განაწილდება. რადგან სანარმოს წინა მფლობელი ყველა შემთხვევაში იურიდიული პირია (ძირითადად კი შპს), რომელიც გაკოტრების საქმის წარმოებით ლიკვიდირებულია, საუბრობენ „რეაბილიტირებულ ლიკვიდაციაზე“.

InsO-ს მიხედვით, ეს გზები თანაბარმნიშვნელოვანია. არ არსებობს კანონისმიერი უპირატესობა ლიკვიდაციისა, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ამ უკანასკნელს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გადასანყვეტია, რომელი გზა გვთავაზობს კრედიტორთა საუკეთესო დაკმაყოფილებას და, შესაბამისად, უნდა გაკეთდეს არჩევანი კრედიტორთა პირველ კრებაზე (ე.წ. *Berichtstermin*-ზე).

InsO-ს 1-ლ პარაგრაფში მოცემულია სამართლებრივი საშუალებები ამ გზათა განხორციელებისათვის, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ მათი განხორციელება გაკოტრების გეგმის (*Insolvenzplan*) საფუძველზე მოხდეს.

წარმატებული რეაბილიტაციის პერსპექტივები განისაზღვრება საქმის წარმოების გახსნისას. ახალ გერმანულ გაკოტრების სამართალში შეტანილი იქნა რიგი ნორმებისა, რომლებიც დროულ და გაადვილებულ პროცედურას ითვალისწინებს საქმის წარმოების გახსნასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსალოდნელი გადახდისუუნარობის (*Drohende Zahlungsunfähigkeit*), როგორც საქმის წარმოების გახსნის საფუძვლის, ინსტიტუტის დამკვიდრება (InsO-ს მე-18 პარაგრაფი).²¹ მოსალოდნელი გადახდისუუნარობის არსებობის განსაზღვრა

²⁰ Bork, Einführung in das Insolvenzrecht, 3. Auflage, Tübingen (Mohr Siebeck), 2002, 168.

²¹ Ritter, Unternehmenssanierung im neuen Insolvenzrecht, Kaiserslautern (Wissenschaft & Praxis), 2000, 323.

სტუდენტური ფორუმი

მხოლოდ მოვალეს ძალედ. კრედიტორებს ეს ინსტიტუტი შეიძლება საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინათ, ამიტომ კანონმდებელმა უარი თქვა მათთვის ამ საშუალების მინიჭებაზე.²² აღსანიშნავია ასევე გაკოტრების გეგმის ინსტიტუტის სრულყოფა რეფორმის შედეგად: მონაწილეებს ეძლევათ სამართლებრივი ჩარჩო გაკოტრების დასაძლევად, რათა კერძო ავტონომიის საშუალებით წარმატებულად განახორციელონ რეაბილიტაცია.²³

3. რეაბილიტაციის გეგმა

საქართველოს კანონი არ იძლევა გეგმასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხის დეტალურ რეგლამენტაციას და ზოგადი მითითებებით ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობას უტოვებს ნორმის განმმარტებელს. კანონი რეაბილიტაციის გეგმის შინაარსს მხოლოდ ერთ მუხლს უთმობს, რომლის თანახმად: „1. რეაბილიტაციის გეგმაში აღნიშნული უნდა იყოს მოვალის ლიკვიდურობის აღდგენისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები, აგრეთვე, ვალების დაფარვის ვადები... 2. რეაბილიტაციის გეგმა შეიძლება შეიცავდეს ნებისმიერ ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ფინანსურ-ეკონომიკურ და რეორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და რეაბილიტაციის მიზანს“. რაც შეეხება *InsO*-ს, იგი საკმაოდ ვრცელ მუხლებს უთმობს გაკოტრების (და არა რეაბილიტაციის) გეგმას და 217-ე პარაგრაფი იძლევა მის დეფინიციას. განსხვავებით საქართველოს კანონისაგან, *InsO* განსაზღვრავს როგორც გეგმის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტებს, ასევე გეგმის სტრუქტურას.

InsO-ს 217-ე პარაგრაფის თანახმად, გაკოტრების გეგმის საგანი შეიძლება იყოს:

1. კანონის დანაწესებისაგან განსხვავებული დაკმაყოფილების თაობაზე კრედიტორთა შეთანხმება;
2. გაკოტრების მასის განსხვავებული რეალიზაცია;
3. გაკოტრების მასის განსხვავებული განაწილება;
4. განსხვავებული შეთანხმება საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ მოვალის პასუხისმგებლობის თაობაზე.²⁴

დებულების მომდევნო მუხლები არეგულირებენ გაკოტრების გეგმის ძალაში შესვლასა და მის ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა გეგმის საყოველთაო მოდელი არ არსებობს.

გაკოტრების გეგმა (*Insolvenzplan*), ან მოკლედ გეგმა, არის გაკოტრების პროცესის ცენტრალური ელემენტი. ეს ინსტიტუტი გერმანული სამართლისათვის ახალია, რამეთუ ანალოგი არ მოეძებნება, თუმცა სტრუქტურულად იგი აშშ-ის გაკოტრების სამართლის გამოცდილების ადაპტირებას წარმოადგენს. გაკოტრების გეგმა შეიძლება ითვალისწინებდეს მასის რეალიზაციის ყველა ფორმას, ლიკვიდაციიდან დაწყებული რეაბილიტაციით დამთავრებული.²⁵

გეგმა ემსახურება მოვალის ქონების საუკეთესო რეალიზაციას და ქონების რეალიზაციისა და განაწილების ალტერნატივას.

²² *Weinbörner*, Das neue Insolvenzrecht mit EU-Übereinkommen, Gesetztexte, Materialien und umfassend. Erläuterungen zur Reform, Freiburg-Berlin, 1997, 56.

²³ *Ritter*, Unternehmenssanierung im neuen Insolvenzrecht, Kaiserslautern (Wissenschaft & Praxis), 2000, 323.

²⁴ *Zimmermann*, Insolvenzrecht, 4. Auflage, Heidelberg (C.F.Müller), 2001, 119.

²⁵ *Ritter*, Unternehmenssanierung im neuen Insolvenzrecht, Kaiserslautern (Wissenschaft & Praxis), 2000, 52.

მართებულად აღინიშნება, რომ გაკოტრების გეგმის შინაარსი შეუძლებელია კანონმდებლის მიერ წინასწარ განისაზღვროს, რამეთუ იგი ცალკეული შემთხვევის გარემოებებზეა დამოკიდებული. მისი სამართლებრივი ბუნება კანონში არც კი არის განსაზღვრული, ამიტომ კანონმდებელი საორიენტაციოდ მხოლოდ არსებითი შემადგენელი ნაწილების აღწერით იფარგლება და შესაძლებლობას უტოვებს მონაწილეებს, თავიანთი ინტერესებისა და მიზნის შესაბამისი ე.წ. რეაბილიტაციის პროგრამა (*Konzept*) განავითარონ.²⁶

გაკოტრების გეგმა – ესაა კოდიფიცირებული რეაბილიტაციის გეგმა. ტერმინი გაკოტრების გეგმა გერმანულ სამართალში რეაბილიტაციის გეგმის სასაუბრო ვარიანტია, რამეთუ პრაქტიკაში გაკოტრების გეგმა ძირითადად რეაბილიტაციას ემსახურება. განსხვავება ისაა, რომ გაკოტრების გეგმა ფორმითა და სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს გაკოტრების საქმის წარმოების მსვლელობის შესახებ.²⁷

InsO იძლევა გეგმის სტრუქტურას. გეგმა იყოფა აღწერილობით (*Darstellendes Teil*) და ორგანიზაციულ (*Gestaltendes Teil*) ნაწილებად. ამ უკანასკნელს კი, 219-ე პარაგრაფის თანახმად, ახლავს დანართი. გაკოტრების გეგმის დანართი (InsO-ს 229-ე და 230-ე პარაგრაფების თანახმად) უნდა შეიცავდეს გეგმის ბალანსს, გეგმის შედეგის (წარმატების) ანგარიშს და გეგმის ლიკვიდურობის ანგარიშს.²⁸

გეგმის აღწერილობით ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს ის, თუ რა ღონისძიებები გატარდა ან გატარდება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემდეგ, ხოლო ორგანიზაციული ნაწილი იმ სამართლებრივ ცვლილებებს უნდა შეიცავდეს, რომლებიც გეგმის საშუალებით უნდა განხორციელდეს.²⁹

აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს მონაცემებს რეალიზაციის სახესთან დაკავშირებით; მანვე უნდა განსაზღვროს, ქონების რეალიზაცია ლიკვიდაციით, ძველი სუბიექტის რეაბილიტაციით, გადაცემითი რეაბილიტაციით თუ სხვა გზით უნდა განხორციელდეს.³⁰ აღწერილობითი ნაწილი ემსახურება სასამართლოსა და კრედიტორთა ინფორმირებას გეგმის მიზნისა და მისი მიღწევის საშუალებების შესახებ. კრედიტორებმა უნდა შეიცნონ გეგმის შესაძლო წარმატება და რისკი, რათა განსაზღვრონ, რეალიზაცია და განაწილება გეგმის მიხედვით იქნება მათთვის სარგებლის მომტანი, თუ კანონის შესაბამისად.³¹ აღწერილობითი ნაწილის საფუძველია მონაცემები იმის თაობაზე, თუ რამდენად შეიცვლება მოვალის საწარმოს: 1. სამართლებრივი ფორმა, 2. სამართლებრივი სტრუქტურა ან 3. მონაწილეთა ურთიერთობანი გეგმის მიხედვით.³² ორგანიზაციულ ნაწილში უნდა აისახოს, როგორ იცვლება მონაწილეების სტატუსი. მოვალე არ მიიჩნევა მონაწილედ. გეგმით არ შეიძლება შეიცვალოს მისი სამართლებრივი სტატუსი. რეაბილიტაციის შემომწმების ამოსავალი წერტილი არის გეგმაში წარმოდგენილი რეაბილიტაციის პროგრამა (*Sanierungskonzept*). მხოლოდ მასზე დაყრდნობითაა შესაძლებელი რეაბილიტაციის უნარის შეფასება. *Sanierungskonzept*-ის შემუშავება ხდება საწარმოს ანალიზის ფარგლებში მისი მდგომარეობის თაობაზე მიღებული

²⁶ იქვე, 55.

²⁷ იქვე, 57.

²⁸ *Schlegel*, Die Eigenverwaltung in der Insolvenz, Rostocker Rechtswissenschaftliche Abhandlungen, Bd 9, Berlin (Arno Spitz), 1999, 64.

²⁹ *Ritter*, Unternehmenssanierung im neuen Insolvenzrecht, Kaiserslautern (Wissenschaft & Praxis), 2000, 57.

³⁰ *Hess/Kranemann/Pink*, Das neue Insolvenzrecht, Köln (RWS), 1998, 168.

³¹ იქვე, 900.

³² *Hess/Weis*, Liquidation und Sanierung nach der Insolvenzordnung, Berlin, 1999, 677.

სტრუქტურული ფორუმი

წარმოდგენის საფუძველზე. როგორც წესი, სრულყოფილი ანალიზისათვის გაკოტრების საქმის წარმოებისას არ რჩება საკმაოდ დრო, ამიტომ საწარმოს ანალიზი ზედაპირული წარმოდგენის შექმნით ამოიწურება.³³

თუ გაკოტრების გეგმა რეაბილიტაციის გეგმაა, იმისდა მიუხედავად, სუბიექტი იგივე რჩება თუ გადატანით რეაბილიტაცია მიმდინარეობს, მისი საშუალებით ხორციელდება მოვალის საწარმოს ყოვლისმომცველი რეორგანიზაცია. *Sanierungskonzept*-ი შეიძლება იყოს გეგმის მთავარი შემადგენელი ნაწილი. იგი უნდა დაერთოს გეგმის აღწერილობით ნაწილს. *Sanierungskonzept*-ის საფუძველს წარმოადგენს საწარმოსათვის მნიშვნელოვანი ყველა მონაცემის შეჯერება. შეჯერებული მონაცემების საშუალებით კი ხორციელდება კრიზისის მიზეზების ანალიზი და იქმნება ვარაუდი, თუ რომელმა მიზეზმა გამოიწვია კრიზისი.³⁴

მიზნის მიხედვით გამოიყოფა გეგმის შემდეგი კატეგორიები:

– ლიკვიდაციის გეგმა (*Liquidationsplan*), რომლის მიზანია მასის რეალიზაცია და განაწილება;

– გადაცემის გეგმა (*Übertragungsplan*): მიზანი – მოვალის საწარმოს გადაცემა მესამე პირისათვის;

– რეაბილიტაციის გეგმა (*Sanierungsplan*): მიზანი – მოვალის საწარმოს შემოსავლიანობის აღდგენა;

– სხვა გეგმები (*Sonstige Pläne*) – ე.წ. ნულოვანი გეგმა (*Null-Plan*), მორატორიუმის გეგმა (*Moratoriumsplan*)...³⁵

InsO-ს 218-ე პარაგრაფის თანახმად, გაკოტრების გეგმის წარდგენა შეუძლია როგორც მოვალეს, ისე მმართველს.

გეგმის მიღებისათვის საჭიროა კრედიტორთა მიერ გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებებით დასახული რეაბილიტაციის მიღწევა. რაც შეეხება სასამართლოს, იგი ამონებს გეგმას და უკან აბრუნებს მას შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ მხედველობაში არ იქნა მიღებული გეგმის წარდგენის უფლებისა და შინაარსის შესახებ ნორმები და წარმომდგენს არ შეუძლია ნაკლის გამოსწორება ან გონივრულ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ გამოასწორებს მას;

2. თუ მოვალის მიერ წარდგენილი გეგმა უპერსპექტივოა კრედიტორთა მიერ მისი მიღების ან სასამართლოს მიერ დამტკიცების თვალსაზრისით, ან

3. თუ მოთხოვნები, რომლებიც მონაწილეებს მოვალის მიერ წარდგენილი გეგმის ორგანიზაციული ნაწილის მიხედვით აქვთ, აშკარად ვერ შესრულდება (InsO-ს 231-ე პარაგრაფი).

გეგმის დამტკიცების შემდეგ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საქმის წარმოების გაუქმების შესახებ (InsO-ს 231-ე პარაგრაფი).

რაც შეეხება საქართველოს კანონს „გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“, შეიძლება ითქვას, რომ იგი *Insolvenzordnung*-თან შედარებით მწირ ნორმებს შეიცავს გეგმასთან მიმართებით. როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონი არც გეგმის სტრუქტურასთან დაკავშირებულ დეტალურ რეგლამენტაციას იძლევა, არც იმ პირებს ჩამოთვლის, ვისაც რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ და ამ უკანასკნელთან

³³ Ritter, Unternehmenssanierung im neuen Insolvenzrecht, Kaiserslautern (Wissenschaft & Praxis), 2000, 264.

³⁴ Hess/Weis, Liquidation und Sanierung nach der Insolvenzordnung, Berlin, 1999, 173.

³⁵ იქვე.

დაკავშირებით, მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ „რეაბილიტაციის გეგმაში ნებისმიერი ცვლილება შეტანილი უნდა იქნეს კრედიტორთა კრების ან კრედიტორთა კომიტეტის თანხმობით (კანონის 253-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბოლო წინადადება).

4. რეაბილიტაციის მმართველი

InsO არ ახდენს ტერმინოლოგიურ დიფერენციაციას გაკოტრების მმართველსა და რეაბილიტაციის მმართველს შორის და მხოლოდ გაკოტრების მმართველზე საუბრობს.

საქმის წარმოების გახსნის შემდეგ გაკოტრების მმართველის ამოცანაა საწარმოს რეაბილიტაციის უნარის შემოწმება, რამეთუ *Berichtstermin*-ზე მოხსენების წარდგენის დროს მან უნდა ასახოს მოვალის ეკონომიკური მდგომარეობა და მისი მიზეზები; განსაზღვროს, არსებობს თუ არა პერსპექტივა მოვალის საწარმოს მთლიანად ან ნაწილობრივ შენარჩუნებისა (InsO-ს 156-ე პარაგრაფი). და რადგან *Berichtstermin* საქმის წარმოების გახსნიდან არაუგვიანეს სამ თვეში უნდა გაიმართოს, მმართველს რეაბილიტაციის უნარის შემოწმებისათვის არცთუ ისე დიდი დრო რჩება.³⁶ გაკოტრების მმართველი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს საბაზრო ურთიერთობებს, რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მოთხოვნილება მოვალის მიერ შეთავაზებულ საქონელზე ან მომსახურებაზე.

InsO რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას კრედიტორებს ანიჭებს (InsO-ს 156-ე პარაგრაფი), თვით რეაბილიტაციის განხორციელება კი გაკოტრების მმართველს ევალება. იგი ცენტრალური ფიგურაა რეაბილიტაციის დროსაც, ამიტომ მისი არჩევის, ზედამხედველობისა და პასუხისმგებლობის შესახებ ნორმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.³⁷

InsO-ს 218-ე პარაგრაფი იძლევა გეგმის წარდგენაზე უფლებამოსილი პირების ჩამონათვალს და ინიციატივის უფლებით (*Planinitiativrecht*) აღჭურავს როგორც მოვალეს, ასევე გაკოტრების მმართველს. რადგან, InsO-ს 218-ე II პარაგრაფის თანახმად, გაკოტრების მმართველი გეგმის შედგენის დავალებას კრედიტორთა კრებაზე იღებს, ამიტომ განცხადების შეტანიდან გეგმის შედგენამდე სულ მცირე ექვსი თვე გადის.³⁸ ამის საწინააღმდეგოდ მოვალეს შეუძლია, უკვე განცხადების შეტანისას წარადგინოს გეგმა (InsO-ს 218-ე I პარაგრაფი).

სადავოა, აქვს თუ არა გაკოტრების მმართველს კრედიტორთა კრების დავალების გარეშე გეგმის წარდგენის უფლება. გაბატონებული შეხედულების თანახმად, გაკოტრების მმართველს გეგმის ინიციატივის დამოუკიდებელი უფლება აქვს. გაკოტრების საქმის წარმოების ეკონომიკური ეფექტი იმით მაღლდება, რომ მოვალესა და გაკოტრების მმართველს განსხვავებული შინაარსის მქონე გეგმის წარდგენა შეუძლიათ. გერმანული გაკოტრების სამართლის რეფორმის შემდეგ კრედიტორთა კრებას შეუძლია, მმართველს, *Berichtstermin*-ზე InsO-ს 157-ე პარაგრაფის თანახმად, დაავალოს გეგმის შედგენა და განუსაზღვროს გეგმის მიზანი.³⁹ ურთიერთსაწინააღმდეგო გეგმებით უზრუნველყოფილია კონკურენცია რეალიზაციის

³⁶ Bork, Einführung in das Insolvenzrecht, 3. Auflage, Tübingen (Mohr Siebeck), 2002, 362.

³⁷ იქვე, 364-365.

³⁸ Schlegel, Die Eigenverwaltung in der Insolvenz, Rostocker Rechtswissenschaftliche Abhandlungen, Bd. 9, Berlin (Arno Spitz), 1999, 64.

³⁹ Ritter, Unternehmenssanierung im neuen Insolvenzrecht, Kaiserslautern (Wissenschaft & Praxis), 2000, 55-56.

სტუდენტური ფორუმი

საუკეთესო სახის გამოსავლენად. მმართველთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გეგმის ინიციატივის უფლების მიუხედავად, მას არ შეუძლია შეიმუშაოს ისეთი გეგმა, რომელიც კრედიტორთა კრების მიზანს გვერდს უვლის.

InsO-ს 260-ე პარაგრაფის თანახმად, გეგმის ორგანიზაციულ ნაწილში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობა, რაც, InsO-ს 261-ე პარაგრაფის მიხედვით, გაკოტრების მმართველის ამოცანაა. ზედამხედველობის განხორციელებისას მმართველმა კრედიტორთა კომიტეტს (თუკი ეს უკანასკნელი დანიშნულია) და სასამართლოს განსაზღვრული პერიოდულობით უნდა მოახსენოს გეგმის შესრულების შესაბამისი მდგომარეობა და პერსპექტივები. კრედიტორთა კომიტეტსა და სასამართლოს რჩებათ უფლება, ნებისმიერ დროს მოითხოვონ ინფორმაცია ან შუალედური ანგარიში.

თუ მმართველი დაადგენს, რომ მოთხოვნები, რომელთა შესრულებაზეც ხორციელდება ზედამხედველობა, არ შესრულდება ან შეუძლებელია შესრულდეს, ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ განუცხადოს კრედიტორთა კომიტეტსა და გაკოტრების სასამართლოს (InsO-ს 262-ე პარაგრაფი).

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონი რეაბილიტაციის მმართველის ინსტიტუტის სამართლებრივ ასპექტებს საკმაოდ ვრცლად აშუქებს: იგი განსაზღვრავს მმართველის სტატუსს, მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს და იქვე აღნიშნავს, რომ „კრედიტორებთან შეთანხმებით რეაბილიტაციის მმართველად შეიძლება არჩეულ იქნეს, აგრეთვე, მოვალე, თუ გაკოტრების განცხადება შეტანილია მოვალის მიერ და რეაბილიტაცია ხორციელდება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის გადავადების შესახებ განჩინების საფუძველზე“ (კანონის 254-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბოლო წინადადება). რაც შეეხება რეაბილიტაციის მმართველის უფლებამოსილებებს, კანონის თანახმად, იგი „ახორციელებს რეაბილიტაციის გეგმას, აგრეთვე, მართავს და განკარგავს მოვალის ქონებას ამ კანონისა და რეაბილიტაციის გეგმის შესაბამისად. რეაბილიტაციის მმართველს უფლება აქვს, რეაბილიტაციის მიზნის მისაღწევად განახორციელოს ნებისმიერი მართლზომიერი ქმედება“ (კანონის 255-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). კანონი ასევე აწესრიგებს მის მიერ გარიგებების (მათ შორის უძრვი ქონების თაობაზე) დადების უფლებამოსილებას, აგრეთვე, ადგენს მის ვალდებულებასაც – „კრედიტორთა კრებას ან კრედიტორთა კომიტეტს თვეში არანაკლებ ერთხელ, აგრეთვე, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ და აცნობოს დადებული გარიგებების თაობაზე“ (კანონის 255-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

კანონი არ ანიჭებს რეაბილიტაციის მმართველს რეაბილიტაციის გეგმის შედგენის უფლებას (განსხვავებით სამომრიგებლო წინადადებისაგან, რომლის შემუშავებაც, კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მისი ვალდებულებაა) და მმართველს გეგმის განმარტორციელებლად მოიაზრებს (კანონის 255-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

5. რეაბილიტაციის სახეები

გერმანული გაკოტრების სამართალი იცნობს როგორც სასამართლოსმიერ, ასევე სასამართლოსგარეშე რეაბილიტაციას. სამართლებრივ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ რეაბილიტაცია უნდა დაიწყოს მანამ, სანამ გაკოტრების ნიშნები გამოიკვეთება და მოვალე კრედიტორების ნდობას დაკარგავს.⁴⁰

⁴⁰ Ritter, Unternehmenssanierung im neuen Insolvenzrecht, Kaiserslautern (Wissenschaft & Praxis), 2000, 319.

გაკოტრების შესახებ განცხადების წარდგენისას მოვალე დამოკიდებულია საქმის წარმოების გახსნის საფუძვლის არსებობაზე.⁴¹ სასამართლოსგარეშე რეაბილიტაციის უპირატესობა კი იმით გამოიხატება, რომ მოვალეს აღარ უწევს ამ საფუძვლის დადგომისათვის ლოდინი.

გერმანულ გაკოტრების სამართალში საუბრობენ ე.წ. თავისუფალ რეაბილიტაციაზე (*Freie Sanierung*). მასში მოიაზრებენ რეაბილიტაციის ყველა მცდელობას, რომლებიც ხორციელდება გაკოტრების საქმის წარმოების გარეშე. ამ შემთხვევაში იგულისხმება გაკოტრების საქმის წარმოებისაგან თავისუფალი რეაბილიტაცია. ლიტერატურაში თავისუფალი რეაბილიტაციის უპირატესობა გამოხატული, რადგან, როგორც აღინიშნება, *InsO*-ს მიხედვით განხორციელებული რეაბილიტაციის წარმატება შემთხვევითობად უნდა ჩაითვალოს.⁴²

თავისუფალი რეაბილიტაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ ყველა მონაწილის შეთანხმებით. ამ დროს შეუძლებელია მოვალისათვის განკარგვისა და მართვის უფლების ჩამორთმევა. სანამ სანარმო არც გადახდისუუნაროა და არც ზედავალიანებაა სახეზე, მოვალისა და კრედიტორების საკუთრებაში ჩარევა კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით დასაფიქრებელია, ამიტომ კანონმდებელმა თავისუფალი რეაბილიტაციისას მიზანთა კონფლიქტი ფრთხილად უნდა აწონ-დაწონოს.⁴³

სასამართლოსგარეშე რეაბილიტაცია ხშირად უფრო იოლია, სწრაფი და ნაკლებ დანახარჯებთან დაკავშირებული. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ნეგატიური საჯაროობის თავიდან აცილება.⁴⁴

სასამართლოსგარეშე რეაბილიტაცია კანონით არ არის რეგულირებული. მის მიმართ მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. მისი განხორციელება დამოუკიდებელია კონკრეტული ეკონომიკური კრიზისისაგან. მისთვის არსებითად განმსაზღვრელია, შეუძლია თუ არა მოვალეს კრედიტორების დარწმუნება, რომ დაგეგმილი რეაბილიტაცია ან ლიკვიდაცია მისთვის და კრედიტორებისათვის არსებული ან მოახლოებული კრიზისიდან საუკეთესო გამოსავალი იქნება. ამასთან, ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი მმართველის მონაწილეობა.⁴⁵

მოვალის ქონების რეალიზაციის რომელი სახეა ყველაზე მიზანშეწონილი, უნდა გადანყდეს ცალკეულ შემთხვევაში.

InsO-ს მიხედვით, სანარმოს საქმიანობის გაგრძელების (*Fortführung*) შემდეგი ვარიანტები არსებობს:

1. საქმიანობის გაგრძელება გაკოტრების გეგმის გარეშე, რომლის დროსაც მმართველს შეუძლია სანარმოს საქმიანობის გაგრძელება გეგმის გარეშე, რათა მიაღწიოს მოვალის ქონების უკეთეს რეალიზაციას. *Fortführung*-ის მიზანი შეიძლება იყოს ლიკვიდაცია (ე.წ. *Ausproduktion*) ან სანარმოს გასხვისება (ე.წ. გადაცემითი რეაბილიტაცია);

2. საქმიანობის გაგრძელება გაკოტრების გეგმით.⁴⁶

თუ რეაბილიტაცია სამართლებრივად შეუძლებელია და მოვალის სანარმოს კრიზისი გამწვავდება, ხოლო კონტრაჰენტების მხრიდან ნდობის საყოველთაო დაკარგვა აღინიშნება, ერთადერთი გამოსავალი სანარმოს „მოსპობა“ (*Zerschlagung*) იქნება, ამიტომ გერმანიაში

⁴¹ იქვე, 283.

⁴² იქვე, 311-312.

⁴³ იქვე, 321.

⁴⁴ იქვე, 325.

⁴⁵ *Freihalter*, Aus- und Absonderungsrechte in der Insolvenz, Insolvenzrecht in der Praxis, Berlin, 1999, 4-5.

⁴⁶ *Grubb*, Tätigkeiten & Haftungsrisiken des Insolvenzverwalters bei Unternehmensfortführung, Dissertation, 2000, 164.

გაკოტრების მრავალი მმართველის მოთხოვნა – გაკოტრების დროებით მმართველსაც მიენიჭოს *Beirichtstermin*-მდე გადატანითი რეაბილიტაციის განხორციელების უფლება, რასაც ეწინააღმდეგება InsO-ს 22-ე პარაგრაფი, რომლის თანახმად, დროებითი მმართველი მოვალის საწარმოს საქმიანობის გაგრძელებას (*Fortführen*) საქმის წარმოების გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ახდენს. InsO-ს 159-ე პარაგრაფი მასის რეალიზაციის უფლებას იძლევა საქმის წარმოების გახსნის შემდეგ და, შესაბამისად, გადატანითი რეაბილიტაცია მხოლოდ *Berichtstermin*-ის შემდეგაა შესაძლებელი.⁴⁷

გერმანული გაკოტრების სამართლის პრაქტიკაში ძალიან ხშირად გამოიყენება გადაცემითი რეაბილიტაცია, როგორც რეალიზაციის თანაბარმნიშვნელოვანი შესაძლებლობა ლიკვიდაციასა და რეაბილიტაციასთან ერთად, თუმცა, როგორც სამართლებრივ ლიტერატურაში აღინიშნება, კანონი მას ყოვლისმომცველად ვერ ანესრიგებს.

საქართველოს კანონი ითვალისწინებს რეაბილიტაციის ორ სახეს: სასამართლოსგარეშე და სასამართლოსმიერ რეაბილიტაციას. სასამართლოსგარეშე რეაბილიტაცია განხორციელდება მანამდე, სანამ გაკოტრების სასამართლო გახსნიდეს საქმის წარმოებას. ამ დროს მოვალეს ეძლევა შანსი, განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს რეაბილიტაციის გეგმა, რაც ამ უკანასკნელს აძლევს საქმის წარმოების გადავადების შესაძლებლობას. კანონი არ განსაზღვრავს სასამართლოსგარეშე რეაბილიტაციის შინაარსს, არ ადგენს, აგრეთვე, იმ პირობებს, რაც მოცემული უნდა იყოს რეაბილიტაციის შეთანხმებაში. ამრიგად, რეაბილიტაციის შეთანხმების შინაარსისა და პირობების განსაზღვრა მთლიანად მხარეთა ნება-სურვილზეა დამყარებული.⁴⁸

გაკოტრების ქართული სამართალი იცნობს მორიგების ინსტიტუტს. მისი მიზანია არა ლიკვიდაცია, არამედ, პირიქით, ლიკვიდაციის თავიდან აცილება. ლიკვიდაციის თავიდან ასაცილებლად მორიგებისას სხვადასხვა სახის საშუალება არსებობს, რომელთა განცალკევებით ან ერთობლივად განხორციელებით მიიღწევა დასახული მიზანი. ამ საშუალებების გამოყენებით განხორციელებული ღონისძიება ცნობილია სანაციის სახელწოდებით.⁴⁹ თუ ვერ შედგება მორიგება, იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება.

რაც შეეხება სასამართლოსმიერ რეაბილიტაციას, იგი ხორციელდება გაკოტრების წარმოების გახსნის შემდეგ და ესაა ვალაუვალი მოვალის ეკონომიკური (შეიძლება სამართლებრივი) გადარჩენის უკანასკნელი მცდელობა, ვინაიდან გახსნილი გაკოტრების წარმოება მიემართება თავისი ლოგიკური დასასრულისაკენ – ლიკვიდაციისაკენ. სასამართლოსმიერი, ისევე, როგორც სასამართლოსგარეშე რეაბილიტაცია გამოიხატება მორიგების დადებით ვალაუვალ მოვალესა და მის კრედიტორებს შორის, თუმცა მოვალის როლი ამ შემთხვევაში უფრო უმნიშვნელოა. კანონი სასამართლოსმიერ რეაბილიტაციას სხვაგვარად საგაკოტრებო მორიგებასაც უწოდებს. მორიგების პირობები აისახება სამომრიგებლო წინადადებაში. მორიგება დადებულად მიიჩნევა, თუ კრედიტორებს შორის მიღწეული იქნება ასეთი შეთანხმება.⁵⁰

„სამომრიგებლო წინადადება შეიძლება ითვალისწინებდეს ვალაუვალი მოვალის საწარმოს საქმიანობის გაგრძელებას რეაბილიტაციის ან სხვა სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელებით, აგრეთვე, მესამე პირისათვის საწარმოს გადაცემას მისი საქმიანობის შემდგომი გაგრძელების მიზნით“ (კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

⁴⁷ Graf-Schlicker/Remmert, Alles neu in der Unternehmensinsolvenz? Zeitschrift für das gesamte Insolvenzrecht, 12/2002, 563.

⁴⁸ მიგრიაული, მოვალის გაკოტრება, როგორც სანაციის საშუალება, გაზეთი „მსგეფსი“ 19, 20-26 აგვისტო, 1997, 6.

⁴⁹ მიგრიაული, შესავალი გაკოტრების სამართალში, 1999, 129.

⁵⁰ იქვე, 135-136.

სტუდენტური ფორუმი

სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აღსრულებას უზრუნველყოფს გაკოტრების მმართველი.

6. დასკვნა

რეფორმის შემდეგ გერმანიაში გაკოტრების ახალი სამართლის საშუალებით გაკოტრების პირას მდგარი სანარმოების ნახევარზე მეტმა მეორე არსებობის გაგრძელების შანსი მოიპოვა. ასე მაგალითად, 12800 განცხადებიდან 2000 წლის პირველ ნახევარში 5884-ს (47%) რეაბილიტაციის შესაძლებლობა მიეცა.⁵¹

დასანანია, რომ რეაბილიტაციის ინსტიტუტის გამოყენების პრაქტიკა მხოლოდ ახლა ყალიბდება საქართველოში და მრავალ სირთულეს აწყდება. ჩვენი კანონი არაერთ საკითხს ტოვებს კითხვის ნიშნის ქვეშ. რეაბილიტაციის, ისევე, როგორც მთლიანად გაკოტრების სამართლის ნორმები საჭიროებს სრულყოფას, რათა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ ქვეყანაში შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „სამართლის სისტემიდან უმართებულოდ გაძევებული გაკოტრების ინსტიტუტი“⁵² უახლოეს მომავალში მიაღწევს „რეაბილიტაციას“ და მას ქართული სინამდვილისათვის სათანადო მნიშვნელობა მიენიჭება.

⁵¹ Pirtke, Das neue Insolvenzrecht, Kontakt & Studium, Bd. 615, Der Leitfaden für die Praxis, 2. Auflage, 2003, 54.

⁵² მიგრიაული, მოვალის გაკოტრება, როგორც სანაცის საშუალება, გაზეთი „მსგეფსი“, 19, თბილისი, 20-26 აგვისტო, 1997, 64.